

ბანკის ვებგვერდზე <https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/general-agreement-installments> განთავსებული “განვადებასთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების” (შემდგომში „ხელშეკრულება“) 5.2 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გათვავზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილების შეტანას:

- **შეიცვალოს ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3.1.1 მომხმარებელს გააცნოს ინფორმაცია საბანკო კრედიტის (განვადების) გამოყენებით ნივთის/მომსახურების შეძენის შესაძლებლობის შესახებ და ამ მიზნით თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის კომპანიის ვებგვერდ(ებ)ზე) განათავსოს ბანკის სარეკლამო-საინფორმაციო მასალები და საჭიროების შემთხვევაში, განუმარტოს მომხმარებელს ნივთის/მომსახურების შეძენის პირობები. კომპანია ვალდებულია, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსებამდე/გამოყენებამდე, წინასწარ მოახდინოს ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის სარეკლამო მასალის) ბანკთან შეთანხმება და მხოლოდ ამის შემდგომ განახორციელოს მათი გამოყენება წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მიზნ(ებ)ისთვის. ამასთან, კომპანიის წარმომადგენლის მიერ მომხმარებლისთვის სხვა ბანკის მომსახურების შეთავაზებისას, კომპანია ამავედროულად ვალდებულია, მომხმარებელს აუცილებლად გააცნოს ბანკის ინფორმაცია განვადებით სარგებლობის / განვადების პირობების შესახებ.“